MES 5 21 0000302813

30/03/2021

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის19 მარტს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting: https://us02web.zoom.us/j/85611334468?pwd=bSs4d3VHYngreFIwdUliSW5nNnZHUT09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო ) წევრები:**

**შორენა ჯაფარიძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**მარიამ ჩაგელიშვილი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია -** ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია -** სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ნინო ველთაური -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე** - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;
**ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.
**სერგო ნოზაძე** - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;
**ნინოს ტეფანიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ კოლეჯი "აისი":**
მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი;
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე.

**სსიპ კოლეჯი „ბლექსი“:**
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი;
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი":**
ირმა ჯაფარიძე - დირექტორი;
თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:**
თეონა ხუფენია - რექტორი;
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი;
მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი;
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
შორენა არჩაია -პროგრამის ხელმძღვანელი.

**პროფესიულიგანათლებისავტორიზაციისექსპერტები:**

ციური დურული
ირმა ღარიბაშვილი
ნინო ხაჩიძე
თამარ ახალაძე
ნია გუგუნავა
ქეთევან ბოტკოველი
მანანა კობალაძე
ნანა შათირიშვილი
ნათია იორდანიშვილი
დიანა გახარია
თამარ დვალიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 16:08

ნანი დალაქიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, დაწესებულებებსა და საბჭოს წევრებს მონაწილეობისთვის, მან აღნიშნა, რომ რთულია სხდომის ჩატარება დისტანციურ რეჟიმში. ხშირ შემთხვევაში ტექნიკური ხარვეზებიც უშლის ამ პროცესს ხელს, ხშირად სხდომის მიმდინარეობა ხანგრძლივდება, რაც გარკვეულწილად აფერხებს საბჭოს ფუნქციონირებას. თუმცა, ყველა გადაწყვეტილება დროულად არის მიღებული, ოქმი სრულყოფილია ყოველ ჯერზე, გადაწყვეტილებები კარგადაა ფორმულირებული და მაინც ახერხებენ, რომ ამ რთულ პერიოდში ხარისხობრივად, დოკუმენტურად ყველაფერი ჰქონდეთ გამართული.
საბჭოს თავმჯდომარის, ქალბატონი ნანა ყუფუნიას საბჭოს სხდომაზე ვერ დასწრების გამო, საბჭოს სხდომის წარმართვა დაევალა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანიც. სხდომის თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა ქალბატონ ნინო კაკულიას.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედუღება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფერმერობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „სამკერვალო წარმოება“, „კონდიტერია“, „კულინარიის ხელოვნება“ და „სატყეო საქმე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ლოგისტიკა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნანი დალაქიშვილს შეკითხვით, ხომ არ ჰქონდა ცენტრს შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა დღის წესრიგთან დაკავშირებით განაცხადა, რომ

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი იყო სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, რომ საკითხის განხილვა, საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, დღის წესრიგის პირველ საკითხად გადმოსულიყო.

საერთო შეთანხმებით, საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფერმერობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამკერვალო წარმოება“, „კონდიტერია“, „კულინარიის ხელოვნება“ და „სატყეო საქმე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოგისტიკა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

**1.სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის** №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის **შესახებ საკითხის განხილვა**

ნანი დალაქიშვილის მიერ საბჭოსათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 2 მარტს კოლეჯ „ბლექსისგან“ შემოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის 138-ე გადაწყვეტილებით, კოლეჯი მილევად რეჟიმში ახორციელებდა „ბართენდერის“ მესამე საფეხურის პროგრამას უკვე ჩარიცხული სტუდენტებისთვის. ამ ეტაპზე პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი აღარ ირიცხება. ამდენად, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 2 მარტის 44-ე ბრძანებით გააუქმა „ბართენდერის“ მესამე საფეხურის პროგრამა, და ითხოვს შევიტანოთ შესაბამისი ცვლილება 2019 წლის 30 ივლისის 138-ე გადაწყვეტილებაში და ამოვიღოთ აღნიშნული პროგრამა იმ პროგრამების ჩამონათვალიდან, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N138-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, დანართის შესაბამისად.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:**

შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის 138-ე გადაწყვეტილებაში და „ბართენდერის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამოღებულ იქნეს იმ პროგრამების ჩამონათვალიდან, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს და გადაწყვეტილების მეორე პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

**2. სსიპ - კოლეჯი „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედუღება" მონიტორ ინგის შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ციური დურულმა. მან აღნიშნა, რომ მონიტრინგი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით იქნა დანიშნული და მონიტორინგის საფუძველს ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ)ბ) (2.2. მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) კომპონენტის შესრულების შემოწმება წარმოადგენდა. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში ვიზუალურად დაათვალიერა მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი. განხორციელდა ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან, მათ შორის კოლეჯის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა რ თ ა ნ .
წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ გაგზავნილი დოკუმენტაცია, როგორც შესყიდვების, ასევე ჩატარებული სამუშაოების შესახებ, რაც რეკომენდაციებში იყო მითითებული. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის, ადამიანური რესურსისა და მატერიალური რესურსის შესახებ. გამოგზავნილია ადამიანური რესურსის, მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გამოგზავნილია საბიბლიოთეკო ფონდთან დაკავშირებული ფოტომასალა.
წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია:
პირველი რეკომენდაცია: C გარემოში წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნაწილი. არ არის შეძენილი ძირითადი შესადუღებელი აპარატურა. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის ბრძანება No02- 01-116 „შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვების შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“, სადაც დანართის სახით წარმოდგენილია შესაძენი აღჭურვილობის დასახელებები. გეგმის მიხედვით აღჭურვილობა ადგილზე უნდა იყოს

სასწავლო წლის დაწყებამდე. შესაბამისად, მიზანშეწონილია სწავლის დაწყებამდე შეძენილ იქნეს შესაბამისი აღჭურვილობა. კოლეჯმა წარმოადგინა „შედუღების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, კერძოდ: მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო მოთხოვნები, სასაქონლო ზედნადები. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობის შესყიდვები. კოლეჯის მიერ შესყიდული იქნება შემდეგი კომპლექტები: Stick შემდუღებელი - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე, MIG შემდუღებელი - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე, გარემოზე, Full ფუნქციის TUG შემდუღებელი - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე, ინდუსტრიალური მულტი-პროცესული შედუღების ნაკრები - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე, პლაზმური ჭრის მანქანები - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე, კედელზე მისამაგრებელი ბოლის გამწოვი. ასევე, დისტანციური დათვალიერებისას დადგინდა ადგილზე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობა. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

ფოტოებზე წარმოდგენილია A გარემო, C გარემო და ბიბლიოთეკა. ფოტოებზე ასევე ჩანს აპარატურა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადგილზე გაკრული იყო სღომის უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ბარათები და პლაკატები. ფოტოებზე ჩანს ასევე ჩაფხუტები და ხალათები (სამუშაო აღჭურვილობა). ხაზგასასმელია, რომ პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, შესაბამისად პროგრამას არ აქვს გარე პრაქტიკის ობიექტი. პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის გათვალისწინებულია C გარემო. C გარემოში წარმოდგენილია შეძენილი ძირითადი შესადუღებელი აპარატურა/დანადგარები და პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების პირობებში. დაწესებულებას ადგილზე აქვს ყველაფერი ის, რაც პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის სჭირდებათ. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია. შესაძლოა მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები.

მეორე რეკომენდაცია: პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში მითითებულია პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, რომელიც უნდა განახორციელოს პროფესიულმა მასწავლებელმა, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია - „ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.“ აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში, ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

დოკუმენტების შესწავლა აჩვენებს, რომ პროგრამას ახორციელებს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულების სწავლებას ახორციელებს 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია ყველა საჭირო ინფორმაცია - მოდულების სახელწოდება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები და სხვ. დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, „მეცნიერების და ტექნოლოგიების“ მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულებით აიყვანა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წაიკითხავს

საკითხებს გეოგრაფიის მიმართულებით. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა გეოგრაფიის კომპონენტის განმახორციელებელი პირის პირადი საქმე, რომლითაც დადასტურდა მისი კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც იქამდე მასწავლებლობის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ არის კვალიფიციური თავის დარგში. მას კარგად აქვს გააზრებული პროფესიული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა და პასუხისმგებლობა. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მონიტორინგის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. რეკომენდაციები არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რადგან დაწესებულებას არ აქვს პრაქტიკის ობიექტი, ადგილზე არსებული გარემო საკმარისია თუ არა სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების ასათვისებლად?

დარგობრივი ექსპერტი ირმა ღარიბაშვილი შეეხო ამ თემას და ისაუბრა, რომ ყველა აქტივობა რომელიც C გარემოში უნდა განხორციელდეს ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე. ფიქრობს, რომ ის ხელსაწყო-დანადგარები, რომლითაც უნდა განხორციელდეს პროგრამის მოდულები, სრულყოფილად არის შეძენილი და პროგრამის განხორციელებისთვის ვერ ხედავს რამე ხელისშემშლელ პირობას. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი დარგობრივი მოდულის განმახორციელებელ მასწავლებელსაც გაესაუბრა, ყურადღება გამახვილდა მატერიალურ საკითხზე, თუ რამდენად შეძლებდა მასაწვლებელი მის გამოყენებას. გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი გაეცნო ყველა დანადგარს, შეისწავლა ტექნიკური დოკუმენტაცია, ასევე დამატებითი ინფორმაცია მოიძია ინტერნეტში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ პროგრამის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი პირობა არ წარმოიქმნება.

სსიპ - კოლეჯი „აისის“ დირექტორმამალხაზ ასლამაზიშვილმა საბჭოს ახალ შემადგენლობას მიულოცა და წარმატებები უსურვა. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ოპერატიულობისათვის. კოლეჯი აბსოლუტურად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. კოლეჯს არ აქვს პროგრამის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები. რეკომენდაციები გათვალისწინებულია, შეიძინეს თანამედროვე, ახალი დანადგარები, რომლითაც შეძლებენ სასურველ შედეგზე გასვლას. შრომითი ხელშეკრულება ყველა პროგრამის ფარგლებში შეიცვალა, ახალი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა ითხოვა, C გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დაზუსტება. კერძოდ, უსაფრთხოა თუ არა პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოცემული ტიპის ოთახში, (ფოტოებიდან გარემოს ჭერი დაბალი ჩანს), C გარემო რამდენი ოთახისგან შედგება, რამდენი დანადგარი დგას, რამდენ სტუდენტზეა გათვლილი ერთი დანადგარი (ზოგადად საკმარისია თუ არა ეს რაოდენობა) და ხდება თუ არა ნამწვის გაქაჩვა აქტიურად, თუ მხოლოდ ჰაერი მოძრაობს. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულების ჭერის სიმაღლე არის 3,1 მ, ხოლო ფართობი 68 კვ. მ, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დაამატა, რომ იატაკი არის ბეტონის. აღნიშნული დეტალები კი შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. ამასთან, სახელოსნოში, კედლებზე გამოკრულია პლაკატები, სადაც წარმოდგენილია უსაფრთხოების წესები, რასაც ფოტომასალაც ადასტურებს. ასევე, შეძენილია ცეცხლმაქრები. თუკი უსაფრთხოების ყველა პირობა დაცული იქნება, რაც საშემდეგოებლო საქმესთან და ელექტრო დანადგარებთან არის დაკავშირებული, პროგრამის განხორციელება უნდა იყოს უსაფრთხო. C გარემო ერთი ოთახისგან შედგება, და დგას 6 დანადგარი, რომელიც 15 სტუდენტზეა გათვლილი, რაც საკმარისია. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ფოტოზე ჩანს, რომ მოწყობილია ცენტრალური გამწოვი, თვითონ შენობას აქვს ბუნებრივი ვენტილაცია. ამასთან, კოლეჯის დირექტორის თქმით კედელზე

დამონტაჟებულია გამწოვი. ქრისტინა რზგოევა დაინტერესდა შეძენილი დანადგარები უბრალოდ დგას თუ დაინსტალირებულია. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეძენილია გამწოვი, თუმცა ფოტოებზე აღნიშნული არ ჩანს. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ დანადგარები ჯერ არ არის დაინსტალირებული, თუმცა სწავლების პროცესის დაწყების წინ ყველაფერი მოწყობილი იქნება. რასაც კოლეჯის დირექტორიც ადასტურებს. გამწოვებთან დაკავშირებით კი განმარტავს, რომ აღნიშნული დამონტაჟებულია კედელზე, რაც ფოტომასალაზეც უნდა ჩანდეს. ნანი დალაქიშვილმა კიდევ ერთხელ ითხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინა, ნახეს თუ არა ვიზიტისას დამონტაჟებული გამწოვები. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ წინა ვიზიტის პერიოდში, როდესაც ადგილზე იყვნენ დანადგარები შეძენილი არ იყო, ხოლო როცა დისტანციურად დაათვალიერეს, უსაფრთხოების დამცავი საშუალებები იყო, თუმცა გამწოვი თვალში არ მოხვედრიათ. საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ სთხოვეს დარგის ექსპერტს განემარტა, უსაფრთხო იყო თუ არა ისეთ გარემოში მუშაობა, სადაც გამწოვი არ აყენია, ამასთან ყველა დანადგარის ერთდროულად ჩართვის შემთხვევაში უსაფრთხო იქნება თუ არა სტუდენტების ადგილზე ყოფნა, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმიდან გამომდინარე გამორიცხულია ყველა დანადგარის ერთდროულად ჩართვა. მოდულები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ 1 მეცადინეობაზე 1 დანადგარი იქნება გამოყენებული. რაც შეეხება გამწოვებს, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს გადმოტანილი აქვს ის ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია სარეკომენდაციო რესურსების ჩამონათვალში. სარეკომენდაციო ჩამონათვალში არ იყო საუბარი დამატებით გამწოვზე ანუ ცალკე დანადგარზე. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ შეძენილი გამწოვი არის თვითონ დანადგარის შემადგენელი კომპონენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტი ფიქრობს, რომ დამატებითი დანადგარი საჭირო არ არის. მიუხედავად ამისა, ვერც ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს წარმოდგენილ ფოტომასალაზე ეჩვენებინათ აღნიშნული გამწოვი.
ზემოთ აღნიშნულიდან და იქიდან გამომდინარე, რომ დარგის ექსპერტმა ვერ წარმოადგინა სრული, გამართული დასაბუთება, რომ მეტწილი შესაბამისობა გასწორდა და დასკვნას, სრული შესაბამისობის შესახებ დამაჯერებლობა აკლია, საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, ეთხოვოს დაწესებულებას, წარმოადგინოს მტკიცებულება ვიზუალური მასალის სახით, რომ დანადგარები და ბოლის გამწოვი დამონტაჟებულია და გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიღებულ იქნას ამ მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღების“ მონიტორინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის, რასაც სხდომის მონაწილე საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

მესამე საკითხის განხილვის წინ სხდომას შემოუერთდა სერგო ნოზაძე.

**3.სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმა ნათლებლო პროგრამის„ფერმერობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ხაჩიძემ. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა ავტორიზაციის საბჭოს ოქმში დაფიქსირებული საბჭოს შუამდგომლობა. ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფერმერობის“ პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დაწესებულებამ ამისთვის წარმოადგინა დოკუმენტაცია, ასევე წარმოდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტებიც. ამის შემდეგ განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება, შედეგების გაცნობა. აღნიშნული განხორციელდა მიმდინარე წლის 26 თებერვალს.

ვიზიტისას განხორციელდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება, დადგინდა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

პირველი რეკომენდაცია: ინდიკატორი 2.4.1.2 - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელ მექანიზმებში დაამატოს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულების შესაძლებლობა იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა, ვინაიდან კანონი პროფესიული განათლების შესახებ უშვებს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულებას იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.4.1.5 „პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს კონკრეტული პროგრამას/მოდულს დასახელებას და ასევე მიეთითოს საწარმოს გამტარუნარიანობა, ანუ ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს საწარმო.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია. ასევე, მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, წარმოდგენილია სამი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას მოდულების და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.1 „თანხვედრაში მოიყვანოს "პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებით" და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული ვადები პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ აღმოფხვრას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით არსებული ტექნიკური უზუსტობები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გამოცდების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის ვადები თანხვედრაში მოიყვანოს პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებულ ვადებთან.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.4.2.2 „ვინაიდან ფუნქცია მოვალეობებით პროგრამის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო

ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.4.2.4 „რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.“ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შევიდა ცვლილება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N44 დადგენილებით.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტის შეფასება: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო. პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ნაწილი, რომელიც არ ჰქონდა დაწესებულებას წინა ავტორიზაციის ვიზიტისას, დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გაეროს განვითარების პროგრამა) უკვე შესყიდულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია 2020 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ შეძენილია 30538,66 ამერიკული დოლარის (99880,29 ეკვივალენტი ლარში) მატერიალური რესურსის ის საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესყიდული მატერიალური რესურსი და სხვა აღჭურვილობაც, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად. ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის ბაზაზე (C გარემო) წარმოდგენილია თანამედროვედ მოწყობილი მეცხოველეობის ფერმა შესაბამისი აღჭურვილობით, დანადგარებით და ა.შ. დაწესებულებას სარგებლობის უფლებით აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც ხორციელდება მემცენარეობის ნაწილის პრაქტიკული კომპონენტების შედეგების მიღწევა, რომელსაც მოიცავს „ფერმერობის“ პროგრამა. პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს სამი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, თუმცა სწავლის შედეგების მიღწევა ერთი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ხდება - შპს „გვაზა“-სთან, რომელსაც აქვს ტექნიკური საშუალებების ის ნაწილი, რომელსაც არ ფლობს კოლეჯი (ძირითადად მინდვრად საკვებწარმოებისათვის საჭირო საშუალებები). დაწესებულებამ დამატებით, დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინა გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმება, სადაც გაწერილია ის აღჭურვილობები, რომლებიც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიული სტუდენტებისთვის, მათზე წვდომა უზრუნველყოფილია ხელშეკრულებით.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებას ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ჰყავს 11 პირი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერტიფიკატები. პერიოდულად ხორციელდება მოდულის განმახორციელებელი პირების მიზნობრივი დატრენინგება. ამ ეტაპზე განხორციელებულია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებული ტრენინგები, თუმცა დაწესებულება მომავალშიც გეგმავს ტრენინგების განხორციელებას.

წარმოდგენილია ფოტოები, სადაც ჩანს სასწავლო გარემო, მათ შორის ფერმა და დანადგარები, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის. მიმდინარე წარმოების ფარგლებში საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა. ასევე არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები. არ დაფიქსირებულა ასევე ხარვეზები.

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ არ იქმნება დაწესებულების მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ფერმერობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგანაც ავტორიზაციის სტანდარტის 2.2. კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტაციისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“. გამომდინარე აქედან, პროგრამა ფასდება, როგორც ავტორიზაციის სტანდარტთან „სრულად შესაბამისი“.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ ახალაძემ გაიმეორა ძირითადი შეფასებები და დამატებით განაცხადა, რომ მოცემული პროგრამა საკმაოდ ვრცელია, გაერთიანებულია როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის ნაწილი. დაწესებულებაში არის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც არის კარგად მოწყობილი. სივრცეები ცხოველების მანიპულირებისთვის, საწველი დანადგარები სრულად შეესაბამება სტანდარტს. რაც შეეხება მემცენარეობის სწავლის კომპონენტის, ამ უკანასკნელის განხორციელებისთვის დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც შესაძლებელია ყველა იმ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, რომელიც სასწავლო პროგრამითაა გათვალისწინებული. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკული C გარემოს გამოყენების მიზნით შპს „გვაზა“-სთან, რომელიც ფლობს მატერიალური რესურსის იმ ჩამონათვალს, რომელიც არ გააჩნია კოლეჯს. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დიდი რაოდენობისა და კარგი ხარისხის ტექნიკა არის შეძენილი, გარდა ამისა კოლეჯშიც არსებობდა პროგრამის განხორციელების მზაობა, გამომდინარე აქედან, ექსპერტი ფიქრობს, რომ სასწავლო დაწესებულება პროფესიული პროგრამის განხორციელებას კარგად გაართმევს თავს. ამჟამად არის 5 აქტიური სტუდენტი, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ მოცემული პროგრამის განხორციელება ხელს არ უშლის აკადემიური პროგრამების განხორციელებას, რადგან სენაკში აკადემიური პროგრამები არ ხორციელდება და როგორც ინტერვიუთი გაირკვა, სასწავლო დაწესებულება ახლო მომავალში არც გეგმავს სენაკის ბაზაზე აკადემიური პროგრამების განხორციელებას.

საბჭოს წევრებმა ითხოვეს დაზუსტება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ, უფრო კონკრეტულად კი შპს-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში რა ტიპის ინვენტარსა და რესურსზეა საუბარი და რაც მთავარია, არის თუ არა ფერმა დასრულებული (ფოტოზე წარმოდგენილი ფერმა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აქ უნდა იყოს სადინარები და სივრცეები დატოვებული, რომელიც შესაძლოა ფოტოზე არ ჩანს), ასევე, ჰყავს თუ არა დაწესებულებას პირუტყვი, რომელიც უმნიშვნელოვანესია მეცხოველეობისათვის, თუ არ ჰყავს, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოხდეს პროგრამის განხორციელება. იგივე შეკითხვა დაისვა მემცენარეობასთან დაკავშირებითაც, რამდენად საკმარისია ის მცენარეები, რომელიც დაწესებულებას საკუთრებაში გააჩნია. რა სახის ინფორმაციის საფუძველზე (დოკუმენტაცია, რა სახის და რაოდენობის პირუტყვი ჰყავთ და ა.შ.) ასაბუთებენ ექსპერტები, რომ სტუდენტს აქვს საშუალება პრაქტიკა გაიაროს ამ ფერმაში.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის. დაწესებულებამ ექსპერტებს ადგილზეც წარუდგინა

საბალანსო ღირებულება და ჩამონათვალი (გაგზავნის აუცილებლობა არ დამდგარა). ფოტოებზე წარმოდგენილი ფერმა ჯერ ექსპლუატაციაში არ არის შესული, რადგან დასრულებული არ არის სტანდარტით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნები, თუმცა სამუშაოები ძალიან მალე დასრულდება და ფერმა ექსპლუატაციაში შევა. დაწესებულებას გააჩნია პარალელურად ფერმა, რომელიც ფოტომასალაზე წარმოდგენილი არ არის. დაწესებულებას ბალანსზე ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აღნიშნული ფერმა გათვლილია 20 ძროხასა და 5 ხბოზე, სულ 25 სულზე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტი პირადად დარწმუნდა, რომ დაწესებულებას ჰყავს პირუტყვი, როგორც ასაკობრივი, ასევე სახეობების მიხედვით. რაც შეეხება მემცენარეობის მიმართულებას მასალა-ნედლეულში წარმოდგენილია სათესლე მასალა და ა. შ. რაც სჭირდება, მემცენარეობისთვის, არის მრავალწლოვანი ნარგავები მეხილეობის კომპონენტისთვის. ასევე, დაწესებულებაში წარმოდგენილია ტექნიკის პარკი. ყველა საჭირო ტექნიკა, რომელიც სჭირდება აგროტექნოლოგიური სამუშაოების განხორციელებას, იქნება ეს ნიადაგის ძირითადი დამუშავების საშუალებები, ტრაქტორი, გუთანი, სახნისები, საოშები, საპრესები, ფარცხები წარმოდგენილია. გარდა ამისა, საქონელი, რომელიც წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტში ყველა შემოწმდა. დაწესებულებას არ აქვს საკვებწარმოების დარგისთვის დამახასიათებელი საჭირო ტექნოლოგია, სწორედ ამიტომ არის გაფორმებული ხელშეკრულება შპს „გვაზასთან“ და სტუდენტებს შეუძლიათ ამ ტექნიკის გამოყენება. რაც შეეხება დასკვნაში წარმოდგენილ ფერმას, ის ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. ამიტომ საბჭოს წევრებმა ითხოვეს დაზუსტება, თუ რატომ არის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სრულად შესაბამისობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფოტოებზე ფერმის  მხოლოდ მცირე ნაწილია მოცემული. ფერმერის სტანდარტს რაც აქვს ჩამონათვალი, აბსოლუტურად ყველაფერი ადგილზეა, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტაციით. დასკვნაში ასახული ფერმა ჯერჯერობით არ არის დასრულებული, თუმცა მალე დასრულდება. დაწესებულებამ ფერმა წარმოადგინა იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა შემდგომი განვითარების მიმართულება და გეგმები. დაწესებულებას გააჩნია სხვა ფერმაც, სადაც ახორციელებს პროგრამას. იყო რამდენიმე კომპონენტი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამას უნდა მოეწოდებინა, მაგრამ ვადებში ვერ ჩაეტია და მხოლოდ ამ ნაწილზეა მონიტორინგი. ამავე საკითხზე ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მათ ამოცანას წარმოადგენდა წინა ვიზიტის ფარგლებში აღჭურვილობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემოწმება და ისინი ადასტურებენ აღნიშნული აღჭურვილობის/ინვენტარის არსებობას, რომელიც დაწესებულებას აკლდა წინა ვიზიტისას.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფერმერობის“  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება**: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**4. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „სამკერვალ ო წარმოება“, „კონდიტერია“, „კულინარიის ხელოვნება“ და „სატყეო საქმე“ მონიტორინგის შესა ხებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N65344, 02/08/2020). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის N024036 ბრძანების თანახმად ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ საგანმანათლებლო პროგრამების „სამკერვალო წარმოების“, „კონდიტერიის“, „კულინარიის ხელოვნების“ და „სატყეო საქმის“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმური მონიტორინგი). დისტანციური წარმოება ჩატარდა 2021 წლის 4 თებერვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები და შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისად 4 თებერვალს, 15:00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს.

წინა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ ოთხივე პროგრამისათვის გაცემული იყო შესაბამისობის ერთი და იგივე რეკომენდაცია.

წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაში იყო ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯმა წარმოადგინა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავდა მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას.2020 წლის ოქტომბერში, ხოლო სასწავლო პროცესისთვის აღნიშნული რესურსი ესაჭიროება სწავლების 23-ე კვირიდან, ე.ი. დაგეგმილი დროიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულების მიერ 2.2.1 კრიტერიუმის პირველი ინდიკატორის მიხედვით კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად შესაბამისი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად განიხილა მატერიალური რესურსის შესყიდვის პროცედურა. მატერიალური რესურსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ თითოეული საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელს და ონლაინ დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი. ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს მატერიალური რესურსის დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ შემოწმებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს და სტანდარტი, ყველა პროგრამისთვის, შესაბამისად შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა დასკვნა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სამკერვალო წარმოების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან (30 პროფესიული სტუდენტი, 15-15 სტუდენტი 2 ნაკადად). კოლეჯში პროგრამისთვის გამოყოფილია A/B/C სასწავლო გარემო, რომლებშიც არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და მიიღწევა მთლიანად კოლეჯში (სწავლის შედეგების 100%). „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი.
ექსპერტმა ფოტომასალის სახით წარმოადგინა A და C გარემო, სადაც წარმოდგენილია ის მატერიალური რესურსი, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაზე. დაწესებულებას ჰყავს 11 შესაბამისი კვალიფიკაციის და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად/დარგის 3 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს. სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმაზე, რომ წინა ვიზიტის დროს ოთხივე პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც შეეხებოდა მასწავლებლების დატრენინგებას. რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება და „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსის“ გავლა, რაც პანდემიის გამო ამ ეტაპამდე ვერ განხორციელდა. დაწესებულებამ უზრუნველყო მასწავლებლების შემდეგ ტრენინგებში ჩართულობა: „კიბერმდგრადობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის ტექნოლოგიების სერვისების განვითარება კოლეჯებში ახალი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად“; პედაგოგიური მოდულიდან მე-4 მოდულის - ,,შეფასება“ - მასწავლებელთა სახლის მიერ დაგეგმილი სამდღიანი ტრენინგი 2020 წლის ნოემბერი; 24-25-26-27 ნოემბერს პროფესიული მასწავლებლებისათვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი Teams-ის პლატფორმის შესასწავლად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რეკომენდაცია გაცემული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების უფრო კონკრეტულად გაწერასთან დაკავშირებითაც. რეკომენდაცია გათვალისწინებულია და დირექტორის ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები გაწერილია კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“. წესის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ კოლეჯის პროფესიული განათლების

მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს; მისი ძირითადი ფუნქციაა პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, განვითარება და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა; პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენციით; კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სახელმძღვანელოები და ელექტრო მატარებლებზე ჩატვირთული სასწავლო რესურსი, 4 ლეპტოპი, რომლებშიც ჩატვირთულია სასწავლო რესურსი, 1 კომბაინი, არსებობს ელექტრონული კატალოგი (OPAC), რომელიც განთავსებულია ასევე დაწესებულების ვებგვერდზე. შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს სსსმ/შშმ სტუდენტები, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა გულისხმობს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზს და ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას. არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არის გადასაადგილებელი პანდუსები და ლიფტი. ბიუჯეტში გაწერილი დამატებითი მომსახურების თანხა ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“, რითაც უზრუნველყოფენ ასეთი სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე. საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება.

წინა წარმოების დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სასურველია მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსია საწარმოში, რათა ისინი გაეცნონ საწარმოს მუშაობის სპეციფიკას. რეკომენდაცია გათვალისწინებულია და დაგეგმილია ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში, რაც პანდემიის გამო ამ ეტაპამდე ვერ განხორციელდა.

საბჭოს წევრებმა ექსპერტთა ჯგუფს სთხოვეს დაეზუსტებინათ, აქვს თუ არა დაწესებულებას თავის სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში მიზანი, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლებისა და თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამას გავლილი აქვს ავტორიზაცია, ეს პუნქტი იყო დაკმაყოფილებული. ის გაეცნო წინა დასკვნას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზემოთ მოყვანილი საკითხი

დაწესებულებას გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში. რამდენადაც ამ ეტაპზე ამ საკითხის შესწავლა ექსპერტთა ჯგუფს არ ეხებოდა, საკითხი პრეზენტაციაში არ აღნიშნეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აქტიურად იწყებს მასწავლებლების სატრენინგო პროცესს.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა დასკვნა „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ.**

„კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ „კონდიტერიის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან (30 პროფესიული სტუდენტი, 15-15 სტუდენტი 2 ნაკადად). კოლეჯში პროგრამისთვის გამოყოფილია A/B/C სასწავლო გარემო, რომლებშიც არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. „კონდიტერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით. „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში („სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“) ითვალისწინებს პრაქტიკული ობიექტების არსებობას. ზემოხსენებული მოდულის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან - სასტუმრო „“ფოსტა“. ასევე, საკონდიტროსთან „ტკბილი ალუბალი“ და საკონდიტროსთან „ქეთის ტორტები“.
მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ფოტოებზე ჩანს სამზარეულო, ინვენტარი და აღჭურვილობა. დაწესებულება აქვს ყველა რესურსი, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაზე. დაწესებულებას ჰყავს 11 პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად და დარგის 2 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს, რაც უზრუნველყოფს „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმაზე, რომ ოთხივე პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც შეეხებოდა მასწავლებლების დატრენინგებას. რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება და „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსის“ გავლა, რაც პანდემიის გამო ამ ეტაპამდე ვერ განხორციელდა. უკვე დასახელდა ის ტრენინგები, რომელიც განახორციელა დაწესებულებამ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციასთან დაკავშირებით, რომელიც გაცემული იყო წინა ვიზიტის ფარგლებში, შესრულებულია.
ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე. საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს

ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება.
შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წინა წარმოების ფარგლებში გაცემული სხვა რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა დასკვნა „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან (50 პროფესიული სტუდენტი, აქედან მოდულური მიდგომით-30 ადგილი, თითო ნაკადზე 15-15 პროფესიული სტუდენტით, ხოლო დუალური მიდგომით - 20 ადგილი, 10-10 პროფესიული სტუდენტით, ასევე 2 ნაკადად). პანდემიის გათვალისწინებით დაწესებულებას დუალურ მიდგომაზე სტუდენტები არ ჩაურიცხავს.
„კულინარიის ხელოვნების“ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში („სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“) ითვალისწინებს პრაქტიკული ობიექტების არსებობას,. ზემოხსენებული მოდულის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან - სასტუმრო „“ფოსტა“. კოლეჯს პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად მემორანდუმი აქვს გაფორმებული რესტორან „ლუშნუ ქორთან“, რომელიც უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას.
„კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი.
ფოტოებზე ჩანს სამზარეულო, ინვენტარი და აღჭურვილობა. დაწესებულება აქვს ყველა რესურსი, რაც პროგრამის სწავლის შდეგების მისაღწევად არის საჭირო.
ვინაიდან ორივე პროგრამა („კონდიტერია“ და „კულინარიის ხელოვნება“) ხორციელდება C გარემოში, დაწესებულებას ჯამურად ჰქონდა შესავსები C გარემო. ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც ჯამურად შეადგენდა 24900 ლარის ღირებულების შენაძენს და სრულად შეივსო დაწესებულებამ და შემდეგ უკვე წარმოადგინა ამის დამადასტურებელი ფოტომასალა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაზე. 8 პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად; 4 დარგის პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს, რაც უზრუნველყოფს „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებული, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია, ამ პროგრამის ფარგლებშიც იყო წინა ვიზიტის დროს გაცემულირეკომენდაცია აქაც გათვალისწინებულია.
ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა „კულინარიის ხელოვნების“საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე. საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება

შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, წინა წარმოების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. რეკომენდაციების შესახებ.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა დასკვნა „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სატყეო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან (30 - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, 10 - პროფესიული სტუდენტი განსაზღვრულია იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს).
საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებაში გამოყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A და B გარემო (2 ცვლაში 10-10 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. კოლეჯმა წარმოადგინა ყველა ის რესურსი, რომელიც ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განსახორციელებლად არის განსაზღვრული.
გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (N17, 28.05.2020) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. მემორანდუმის თანახმად, ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (ამ შემთხვევაში ტყის ფონდი) სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას. „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი, რაც ფოტოებითაც დაადასტურა.
წინა ვიზიტისას მატერიალური რესურსი არ გახლდათ ადგილზე, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა სიები, მაშინ მიმდინარეობდა შესყიდვის პროცესი. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ აღჭურვილობა. ძირითადი მასალები, აღჭურვილობა და ტექნიკა, რაც საჭიროა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისათვის გააჩნია დაწესებულებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაზე. დაწესებულებას ჰყავს 9 პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად; 2 დარგის პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს, რაც უზრუნველყოფს „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
სხვა პროგრამების ანალოგიური რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელს, ,ასწავლებელტა ტრენინგს, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე, სსსმ პირების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სრულადაა გათვალისწინებული.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება**: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 19 მარტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:** შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“„კონდიტერიის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 19 მარტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:** შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 19 მარტი.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:** შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 19 მარტი.

**5. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ლოგისტიკა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშედასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დიანა გახარიამ. მან აღნიშნა, წარმოების მიზანი იყო პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის ფარგლებში, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტაცია, როგორც პირველად განაცხადით წარმოდგენილი, ასევე, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები. განხორციელდა დისტანციური ჩართვა, სადაც გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს და დაწესებულება ვიზუალურად დაათვალიერეს. ამ ყოველივეს საფუძველზე შედგა შეფასება და წარმოდგენილია დასკვნა.

დისტანციური ჩართვისას მოხდა ხელმძღვანელობასთან გასაუბრება და ვიზუალური დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დირექტორს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, პროგრამის ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს, მათ შორის გასაუბრება მოხდა როგორც ახალ, ისე ძველ თანამშრომლებთან. რადგანაც წარმოება ეხებოდა ადგილების დამატებას, ამიტომ აქცენტი გაკეთებული იყო ადამიანური, მატერიალური, სასწავლო და ფინანსური რესურსების საკმარისობაზე. ვიზუალური დათვალიერებისას შემოწმდა ბიბლიოთეკა, სასწავლო გარემო და აღჭურვილობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის არ არის საჭირო განსაკუთრებული მატერიალური აღჭურვილობა. დატვირთვა მოდის A და B გარემოზე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექვს პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომლის ფარგლებშიც 3 მოდული ხორციელდება: გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა. დამატებით, B გარემოს შემთხვევაში სტუდენტების ჯგუფი იყოფა. უზრუნველყოფილია და ამ წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ დამატებით შეისყიდა ტექნიკა.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 40 განმახორციელებელ პირთან, აქედან 7 არის პროფესიულ მოდულებზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური და გამოცდილების მქონე განმახორციელებლები, მათ შორის თავიანთი კურსდამთავრებული. ასევე, როდესაც დაწესებულებას აჰყავს ახალი კადრი, მას უტარდება შიდა ტრენინგი საქმიანობის დაწყებამდე, რაც გავრცელებული პრაქტიკაა დაწესებულებაში. ეს ასევე ირკვევა განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროსაც.

სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით მოიძია სახელმძღვანელოები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს და სარგებლობს OpenBiblio-ს კატალოგით. ექსპერტებმა მასალები მოიძიეს სისტემაში შესვლის შედეგად. ინტეგრირებული მოდელისათვის სახელმძღვანელოების უმეტესობა წარმოდგენილია მატერიალური სახით, თუმცა მიმდინარეობს მასალების გაციფრულება და მათი დისკებზე დატანა. ამ პერიოდისთვის მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც ბიბლიოთეკარის მიერ მიეწოდებათ გაციფრულებული მასალა, ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით.

ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რენტაბელობის ზღვარი დადგენილია 17 პროფესიული სტუდენტით. ბიუჯეტში წარმოდგენილია როგორც შემოსავლის ასევე გასავლის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის შევსება და სასწავლო ვიზიტის/პრაქტიკის ორგანიზება და დამატებით, გამოყოფილია გარკვეული თანხა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისთვის.

ფოტომასალაზე ჩანს სასწავლო გარემო, დატვირთვა მოდის A და B გარემოზე, წარმოდგენილია ინტეგრნირებული მოდულების ლაბორატორიის ფოტომასალა და საბიბლიოთეკო რესურსის მოძიების ფოტომასალა.

დაწესებულება ორიენტირებულია იმაზე, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სტუდენტებს განვითარებაში, ამასთან აქვთ სურვილი, პროგრამის გარკვეული ნაწილი ონლაინ გააგრძელონ, მიუხედავად იმისა იქნება თუ არა პანდემია, რადგან ამ პროგრამაზე მოთხოვნა ძალიან დიდია.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს დაწესებულების წარმომადგენელს აეხსნა, თუ  რითი დასტურდება ამ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში საერთაშორისო გადაზიდვებიპანდემიის პერიოდშიც არ შეჩერებულა. მთავარი პროგრამის მიზანშეწონილობაზე მეტყველებს ის, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით ჰყავს ძალიან ბევრი წარმატებული ბიზნეს პარტნიორი, „ლოგისტიკის“ პროგრამა მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს, რაც სამინისტროს მიერაც პრიორიტეტად არის მიჩნეული და სრულად ფინანსდება. აპირებენ მიიღონ 60 სტუდენტი ერთ მიღებაზე, თუმცა ჯგუფი იქნება 2, რადგან ინტეგრირებული პროგრამაა და ჯგუფში მაქსიმალურ სტუდენტთა რაოდენობად 30 არის განსაზღვრული.

საბჭოს წევრებმა, ასევე, სთხოვეს დაწესებულების დირექტორს, განემარტა, თუ რა დამატებით ღონისძიებების გატარებას აპირებს დაწესებულება სტუდენტების მოსაზიდად და ხომ არ გაუჭირდება დაწესებულებას ჯგუფის დაკომპლექტება. აღნიშნულ საკითხზე დირექტორმა განმარტა, რომ საუბარია სადიპლომო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია სასკოლო კომპონენტი, ამიტომ აპლიკანტების მოზიდვა სკოლებში მიმდინარეობდა, რომლებთანაც დაწესებულებას მჭიდრო კავშირები აქვს, კერძოდ, დაწესებულება ყოველ წელს ატარებს პროფ. ორიენტაციას სკოლებში და ასევე წლებია ატარებს სკოლებში ბიზნეს ოლიმპიადას. შარშან პანდემიის გამო ეს უკანასკნელი ვერ მოხერხდა. რადგანაც ბიზნეს აკადემიაა, დაწესებულებას აღებული აქვს ვალდებულება საკუთარ მოსწავლეებსა და ასევე იმათ, ვისაც მოუნდება აკადემიაში სწავლა განივითარონ გარკვეული ბიზნეს უნარები. პროფ. ორიენტაციის ნაწილიც არის ამაში ჩადებული. თუკი კონკურსის მონაწილეებს არ ექნებოდათ წინარე ცოდნა ამ პროფესიების შესახებ ვერ იქნებოდნენ კონკურენტუნარიანები. მოცემული პრაქტიკა შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან ბევრმა ადამიანმა გაიგო პროფესიული განათლების შესახებ. დაწესებულებას სჭირდება დიდი ძალისხმევის გაწევა, რათა დარგის სპეციალისტები მოიწვიოს. დაწესებულება ბევრს შრომობს, რათა მოიზიდოს წარმატებული კადრები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA” -სათვის „ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი. სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:** შპს „საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA” -ს დანართით განსაზღვრულ „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 90-ით **(დანართი 2).**

**6. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზ ე -„საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესა ხებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დიანა გახარიამ. მან აღნიშნა, რომ წარმოების მიზანი  იყო პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის ფარგლებში, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტიცაა, როგორც პირველად განაცხადით წარმოდგენილი, ასევე დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები. განხორციელდა დისტანციური ჩართვა, სადაც გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს და დაწესებულება ვიზუალურად დაათვალიერეს. ამ ყოველივეს საფუძველზე შედგა შეფასება და წარმოდგენილია დასკვნა.
დისტანციური ჩართვისას მოხდა ხელმძღვანელობასთან გასაუბრება და ვიზუალური დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დირექტორს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირს, პროგრამის ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს, მათ შორის გასაუბრება მოხდა როგორც ახალ, ისე ძველ თანამშრომლებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერვიუს პროცესში აღინიშნებოდა გამოცდილი განმახორციელებლების სიმრავლე ინტერვიუს პროცესში. მათი კომპეტენცია დასტურდება სამუშაო გამოცდილებითა და კვალიფიკაციებით. ახალი მასწავლებელი ზოგადი მოდულის მიმართულებით ჰყავთ. განმახორციელებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები.

რადგანაც წარმოება ეხებოდა ადგილების დამატებას, ამიტომ აქცენტი გაკეთებული იყო ადამიანური, მატერიალური, სასწავლო და ფინანსური რესურსების საკმარისობაზე. ვიზუალური დათვალიერებისას შემოწმდა ბიბლიოთეკა, სასწავლო გარემო და აღჭურვილობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დაწესებულების მატერიალური რესურსზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რამდენიმე A გარემო, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორია, B გარემო და დამატებით მოსაწყობად შეძენილი ტექნიკა, მიღება-ჩაბარების აქტები, პარტნიორებთან ხელშეკრულება 3 მოდულის ფარგლებში. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური და გამოცდილების მქონე განმახორციელებლები, მათ შორის ახალი კადრები, რომელთა რაოდენობა საკმარისია პროგრამის განხორციელებისათვის (საბაჟო საქმე - 14, ლოგისტიკა - 40). სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით მოიძია სახელმძღვანელოები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს და სარგებლობს OpenBiblio-ს კატალოგით. ექსპერტებმა მასალები მოიძიეს სისტემაში შესვლის შედეგად. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს საჭირო სასწავლო რესურსი, რომელიც სსსმ პირებისთვისაც არის ხელმისაწვდომი.
ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რენტაბელობის ზღვარი დადგენილია 8 პროფესიული სტუდენტით. ბიუჯეტში წარმოდგენილია როგორც შემოსავლის ასევე გასავლის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ფონდის შევსება და სასწავლო ვიზიტის/პრაქტიკის ორგანიზება და დამატებით, გამოყოფილია გარკვეული თანხები სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისთვის.
ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო გამოცდილებად განიხილა დაწესებულების ურთიერთობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან. დაწესებულებას აქვს ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის სწავლების გამოცდილება. დაწესებულება პასუხობს მათ შემხვედრ საჭიროებებს. აქ არ იგულისხმება მხოლოდ სასწავლო გარემოს ადაპტირება, არამედ სასწავლო მასალების ადაპტირება, მათი საჭიროებების უზრუნველყოფა და დაკმაყოფილება ტექნიკური თვალსაზრისით.
საბჭოს წევრებმა დაწესებულებას სთხოვეს პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ზოგადად, წლებია დაწესებულება საბაჟო საქმის კვალიფიკაციის ავტორია ქვეყანაში. აქვთ მყარი, ჩამოყალიბებული და დიდი თანამშრომლობა შემოსავლების სამსახურთან. სწორედ ამან უბიძგა დაწესებულებას დაემატებინა ეს პროგრამა, რომელიც არის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი.
შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA ერთადერთი დაწესებულება, რომელიც პროგრამას უცხოელ სტუდენტებს აწვდის. გაზრდილ მოთხოვნასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონით დაშვებულია უკვე ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები. რადგან დაწესებულების ცნობადობა გაიზარდა, გაიზარდა მოთხოვნაც. გარდა ამისა, ეს არის საერთაშორისო რეგულაციებზე დაფუძნებული პროგრამა და როცა ნორმატიული აქტები იცვლებ,ა განმახორციელებლები ჩართულები არიან, რომ პროგრამა იყოს მუდმივად აქტუალური. აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულებას 10 წელი შეუსრულდა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA” -სათვის „საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი. სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:** შპს „საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA”-ს დანართით განსაზღვრულ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 3)**.

სხდომის დასრულების დრო: 19:02

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კაკულია ნინო

**დანართი 1**

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე / საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საავტომობილო გზების მშენებლობა (2) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732 | 84 | 99 | ქართული | 32 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 2 | სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება (2) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 0732 | 58 | 73 | ქართული | 30 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 3 | მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები (1, 2) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732 | 82 | 97 | ქართული | 30 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 4 | სამკერვალო წარმოება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723 | 99 | 114 | ქართული | 30 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 5 | კულინარიის ხელოვნება (1, 2) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013 | 80 | 95 | ქართული | 60 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 6 | კონდიტერია (1, 2) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013 | 80 | 95 | ქართული | 14(1)<br>13(2) | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ელექტროობა (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713 | 52 | 67 | ქართული | 51 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| 8 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | 40 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

| № | **პროგრამის დასახელება** | **პროფესიული განათლების დონე / საფეხური** | **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით** | **კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის** | **კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის** | **სწავლების ენა** | **სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1) | მესამე საფეხური | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360 | 88 | 103 | ქართული | 36 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ლოგისტიკა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 90 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 122 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 152 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საბაჟო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1032 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ინგლისური |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 80 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 109.5 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 109.5 |